საქართველოს კონტროლის პალატის
პოლიტიკური პარტიების ფინანსური
მონიტორინგის სამსახურის უფროსს
ქ-ნ ნათია მოგელაძეს

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების“
გამგეობის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი
თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი (ანტონ კათალიკოსის ქ. #3/36)

განცხადება

ქალბატონო ნათია,

2012 წლის 05 იანვარს, 20:30 საათზე, ჩაგვბარდა თქვენი 2012 წლის 05 იანვრით დათარიღებული N210/57 წერილი, რომელშიც თქვენ აცხადებთ, რომ ა(ა)იპ „საზოგადოებრივ მოძრაობა ქართულ ოცნებას“ „განცხადებული აქვს პოლიტიკური მიზნები და ამოცანები“ და, აქედან გამომდინარე, იგი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული „მონიტორინგის სუბიექტია.“ შესაბამისად, თქვენ მოგვთხოვეთ, შევავსოთ თქვენს წერილზე დართული ელექტრონული ფორმა და არაუგვიანეს სამი დღისა წარმოვადგინოთ ინფორმაცია ჩვენი ორგანიზაციის შემოსავლებისა და ხარჯების თაობაზე. გარდა ამისა, ასევე მოგვთხოვეთ, საქართველოს კონტროლის პალატის კანცელარიას ჩავაბაროთ ჩვენი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით დადასტურებული ცხრილების დედნები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ თქვენს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თითქოს ა(ა)იპ „საზოგადოებრივ მოძრაობა ქართულ ოცნებას“ განცხადებული აქვს პოლიტიკური მიზნები და ამოცანები. საზოგადოების მიზნები და ამოცანები ჩამოთვლილია საზოგადოების წესდების 1.7 პუნქტში და ისინი მოიცავს შემდეგს:

- ქართული სახელმწიფოს სიძლიერის ხელშეწყობა;
- თავისუფლებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა;
- თავისუფალი მედიის განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- ქართული ეთნო-კულტურული ტრადიციების დაცვა და პოპულარიზაცია;

საქართველოს კონტროლის პალატა
№ 7/56
09 - 01 2012

- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებისა და თვითმყოფადობის დაცვა, მათი ქართველ საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა;
- თავისუფალი არჩევნების ხელშეწყობა და არჩევნების მონიტორინგი:
- სახალხო დიპლომატია;
- თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობა;
- თავისუფალი მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
- კულტურული და სამეურნეო მემკვიდრეობის დაცვა და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილ მიზანთაგან არცერთი არ წარმოადგენს საკუთრივ პოლიტიკურ მიზანს ან ამოცანას. აქედან გამომდინარე, თქვენი მოსაზრება ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან პოლიტიკური მიზნების და ამოცანების განცხადების თაობაზე დაუსაბუთებელია. გარდა ამისა, საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" არ იძლევა განმარტებას იმისას, თუ რა არის „პოლიტიკური მიზანი ან ამოცანა". ასეთის უქონლობის პირობებში კი თქვენს მიერ განხორციელებულ შეფასებას რაიმე ნორმატიული საფუძველი არ გააჩნია.

მეორე საკითხია, თუ რამდენად კანონიერად მოქმედებდით, როდესაც ერთპიროვნულად მიიჩნიეთ, რომ ჩვენს ორგანიზაციას განცხადებული აქვს პოლიტიკური მიზნები და ამოცანები.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი არ ითვალისწინებს პროცედურას, თუ რომელი სახელმწიფო ორგანოს რომელმა მოხელემ უნდა დაადგინოს, რომ ესა თუ ის იურიდიული პირი აღნიშნული ორგანული კანონის 26^1 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირია.

ასეთ პროცედურას არც „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს. 2011 წლის 28 დეკემბერს, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პარალელურად, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონშიც შევიდა ცვლილებები და დამატებები. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-17 მუხლს დაემატა 2^1 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „კონტროლის პალატა ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით" და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. იგი უფლებამოსილია ჩაატაროს აუდიტი, ყადაღა დაადოს ფიზიკური პირების, იურიდიული პირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს), შეადგინოს

სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და მიიღოს შესაბამისი დადგენილება". მაგრამ აშკარაა, რომ აღნიშნული კანონის არც ეს დებულება და არც რომელიმე სხვა დებულება არ შეიცავს რაიმე მითითებებს, თუ ვის მიერ, ან რომელი წესების საფუძველზე უნდა განისაზღვროს, მიეკუთვნება თუ არა მოცემული იურიდიული პირი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იურიდიულ პირთა კატეგორიას.

უფრო მეტიც, ასეთ წესებს არც „საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტი" ითვალისწინებს. მართალია, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 30 დეკემბრის #195/42 ბრძანებით გარკვეული ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი „საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტში", ეს ცვლილებები და დამატებები ასევე არ შეიცავს მითითებებს, თუ როგორ უნდა იქნეს განსაზღვრული, წარმოადგენს თუ არა მოცემული იურიდიული პირი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იურიდიულ პირს.

ამრიგად, აშკარაა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე წესებს, თუ როგორ ან ვის მიერ უნდა დადგინდეს, რომ იურიდიული პირი, მოცემულ შემთხვევაში - „საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნება" - „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირია. ასეთი წესების უქონლობის პირობებში გაუგებარია, კანონით მინიჭებული რომელი უფლებამოსილებით ხელმძღვანელობდით, როდესაც აცხადებდით, რომ ჩვენი ორგანიზაცია ზემოხსენებული ორგანული კანონის 26[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება." იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე." იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს."

რადგან თქვენს წერილში არ არის მითითებული არც კანონის და არც რომელიმე კანონქვემდებარე აქტის რომელიმე ნორმა, რომელიც შეიძლება განიჭებდეთ უფლებამოსილებას, რათა ერთპიროვნულად განსაზღვროთ, არსებობს თუ არა რაიმე გარემოება, რომლის საფუძველზეც შეგიძლიათ მიიჩნიოთ ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მოძრაობა ქართულ ოცნება“ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იურიდიული პირად, თქვენი მოთხოვნა ჩვენს მიმართ გარკვეული ინფორმაციის წარდგენის თაობაზე უკანონო და თვითნებურია.

აქვე გვსურს განვმარტოთ, რომ ჩვენ აბსოლუტურად უკანონოდ, საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან და მოთხოვნებთან შეუსაბამოდ მიგვაჩნია 2011 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში და „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. აღნიშნული ცვლილებები მეტისმეტად ბუნდოვანია იმისათვის, რომ პირმა განჭვრიტოს თავისი ქმედების იურიდიული შედეგები და განსაზღვროს, ვრცელდება თუ არა მასზე ამ ცვლილებებით და დამატებებით დადგენილი შეზღუდვები. ამასთანავე, გაუგებარია რომელ კანონიერ მიზნებს ემსახურება ეს შეზღუდვები. უფრო მეტიც, თუნდაც არსებობდეს რაიმე კანონიერი მიზანი, აშკარაა, რომ ეს შეზღუდვები დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებულ პრინციპებთან შეუსაბამოდ, არათანაზომიერად და დისპროპორციულად შემზღუდველია. ისინი მთლიანად არაეფექტიანს, თეორიულს და ილუზორულს ხდის მთელ რიგს უფლებებისა, გამოხატვის თავისუფლების, გაერთიანებების თავისუფლებისა და საკუთრების უფლების ჩათვლით, რომლებსაც განამტკიცებს, როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი.

გარდა ამისა, აღნიშნული ცვლილებები თავდაყირა აყენებს თავად კონტროლის პალატის დანიშნულებას, რომლის კონსტიტუციით განსაზღვრული ფუნქცია სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებისა და ხარჯვის ზედამხედველობაა და არა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა და, მითუმეტეს, კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ კერძო წყაროებისგან მიღებული შემოსავლებისა და არასახელმწიფო სახსრების ხარჯვის მონიტორინგი.

ა(ა)იპ „საზოგადოებრივ მოძრაობა ქართულ ოცნებას“ ნამდვილად გააჩნია სურვილი, ითანამშრომლოს ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოსთან, მათ შორის საქართველოს კონტროლის პალატასთან, და შეასრულოს ნებისმიერი კანონით გათვალისწინებული და

ჯეროვნად დასაბუთებული მოთხოვნა. მაგრამ ა(ა)იპ „საზოგადოებრივ მოძრაობა ქართულ ოცნებას“ არ გააჩნია ვალდებულება, შეასრულოს კანონით გაუთვალისწინებელი და დაუსაბუთებელი მოთხოვნები.

ზემოთქმულის მიუხედავად, ჩვენ გადავწყვიტეთ მაინც წარმოვადგინოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რათა გავაქარწყლოთ ნებისმიერი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ჩვენი ორგანიზაცია შეიძლება რაიმე კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით იყოს დაკავებული, როგორი უსამართლო და ანტიკონსტიტუციურიც არ უნდა იყოს თავად კანონის მოთხოვნები.

ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ პერიოდს 2011 წლის 30 დეკემბრიდან - ანუ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში და „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების ძალაში შესვლიდან - დღემდე, ანუ 2012 წლის 9 იანვრამდე. რაც შეეხება 2011 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდს, აღნიშნულთან დაკავშირებით თქვენი მოთხოვნა აბსოლუტურად უსაფუძვლოა, რადგან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით; ხოლო, ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. 2011 წლის 28 დეკემბრის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონები რაიმე მითითებებს ამ კანონებისთვის უკუძალის მინიჭების შესახებ არ ითვალისწინებს. მათ მიერ დადგენილი წესები კი სწორედ ადგენს ან/და ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას. ამდენად, თქვენი მოთხოვნის გავრცელება ზემოაღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების ძალაში შესვლამდე პერიოდზე სწორედ ამ ცვლილებებისა და დამატებებისათვის კანონსაწინააღმდეგო უკუძალის მინიჭება იქნებოდა.

ამის მიუხედავად, ისევ და ისევ ყოველგვარი ეჭვების გაქარწყლებისა და საზოგადოებისათვის ჩვენი ორგანიზაციის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, მზად ვართ ჩვენს უებსაიტზე განვათავსოთ და, ამდენად, ყველასთვის, მათ შორის საქართველოს კონტროლის პალატისთვისაც, თვალსაჩინო გავხადოთ ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნებიდან 2011 წლის 30 დეკემბრამდე არსებული ფინანსური ინფორმაცია.

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ თქვენი დაუსაბუთებელი და უკანონო მოთხოვნის შესრულება არ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც ჩვენი მხრიდან აღიარება იმისა, რომ ჩვენ ან ვეთანხმებით 2011 წლის 28 დეკემბერს

საქართველოს პარლამენტის მიერ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში და „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების კანონიერებას, ანდა მიგვაჩნია, რომ ნამდვილად წარმოვადგენთ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იურიდიული პირს. ამის თაობაზე დეტალურად ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ რა ამ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, მოვითხოვთ თქვენგან, რათა გვაცნობოთ:

1) კონკრეტულად ვინ, რომელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელი ნორმატიული აქტის და რომელი ნორმის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ა(ა)იპ "საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნებისათვის" „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ;

2) რომელი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები დაედო საფუძვლად ამგვარ გადაწყვეტილებას;

3) ასეთი ფაქტობრივი გარემოებებიდან, თუკი ისინი არსებობს, კონკრეტულად რომელი ქმედება ჩაითვალა ისეთ პოლიტიკურ ქმედებად, რომლის გამოც საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე უნდა გავრცელდეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების კანონმდებლობა.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების“

გამგეობის თავმჯდომარე

ბიძინა ივანიშვილი

9 იანვარი, 2012 წ.

დანართი:

იურიდიული პირის დასახელება: ა.ა.ი.პ. საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნება

ანგარიშგების პერიოდი: **30/12/2011-09/01/2012**

შევსების თარიღი: 09,01,2012

			არაფულადი ფორმით				
მისამართი რეგისტრაციის მიხედვით	**შემოსავლის წყაროს საბანკო ანგარიშის N**	**შემოსავლის წყაროს მომსახურე ბანკი**	**საქონელი**	**მომსახურება**	**საბაზრო ღირებულება ****	**რაოდენობა/ მოცულობა**	**დამატებითი ინფორმაცია**
12	13	14	15	16	17	18	19

თავმჯდომარე _____ ხელმოწერა

ბუღალტერი _____ ხელმოწერა

ბ.ა.

საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნება" CIVIC MOVEMENT "GEORGIAN DREAM" 404411837

ფორმა N12 - შემოსავლების ანგარიშგება

იურიდიული პირის დასახელება: ა.ა.ი.პ. საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნება
ანგარიშგების პერიოდი: **30/12/2011-09/01/2012**
შევსების თარიღი: 09,01,2012

N	ოპერაციის თარიღი	შემოსავლის ტიპი ***	თანხა / ღირებულება	პირის დასახელება (გარდა ფიზიკური პირებისა) *	საიდენტიფიკაციო ნომერი *	ფიზიკური პირის გვარი	ფიზიკური პირის სახელი	პირადი ნომერი	პირად. მოწმობის ან პასპორტის N	
									პირადობის მოწმობის ნომერი	პასპორტის ნომერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1										
2										
3										
4										
5										

* მე-5 და მე-6 სვეტის შევსების შემთხვევაში არ ივსება 7-12 სვეტები
** საქართველოს კონტროლის პალატა უფლებას იტოვებს გადაამოწმოს შემოწირული ქონების საბაზრო ღირებულება და მოახდინოს შესაბამისი კორექტირება
*** "შემოსავლის ტიპი" - 1. საწევრო; 2. ფულადი შემოწირულობა; 3. არაფულადი შემოწირულობა; 4. სხვა შემოსავალი; ან 5. სესხი

თავმჯდომარე _____ ხელმოწერა

ბუღალტერი _____ ხელმოწერა

ბ.ა.

საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნება" CIVIC MOVEMENT "GEORGIAN DREAM" 404411837

ფორმა N13 - ხარჯების ანგარიშგება

იურიდიული პირის დასახელება: ა.ა.ი.პ. საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნება
ანგარიშგების პერიოდი: **30/12/2011-09/01/2012**
შევსების თარიღი: 09,01,2012

N	ოპერაციის თარიღი	ხარჯის ტიპი *	მიღებული მომსახურების აღწერა	შეძენილი საქონლის აღწერა	შეძენილი საქონლის რაოდენობა	გადახდილი თანხა	მომსახურე ორგანიზაციის დასახელება	მომს. ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო N
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	06,01,2012		თანამშრომელთა ხელფასი			1128,95		
2	06,01,2012		გადახდილი საშემოსავლო გადასახადი			282,24		
3								
4								
5								

თავმჯდომარე _____ ბუღალტერი _____

ხელმოწერა ხელმოწერა

ბ.ა.

საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნება" GEORGIAN DREAM MOVEMENT 404411837

იურიდიული პირის დასახელება: ა.ა.ი.პ. საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნება

ანგარიშგების პერიოდი: **30/12/2011-09/01/2012**

შევსების თარიღი: 09,01,2012

ფიზიკური პირის გვარი	ფიზიკური პირის სახელი	პირადი ნომერი	პირადობის მოწმობის ან პასპორტის ნომერი	მისამართი რეგისტრაციის მიხედვით	საბანკო ანგარიშის ნომერი	დამატებითი ინფორმაცია
10	11	12	13	14	15	16

თავმჯდომარე _____ ხელმოწერა

ბუღალტერი _____ ხელმოწერა

ბ.ა.